სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№01-04/134 28.12 2022 6350

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საშემოდგომო სემესტრში, ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიან (ქართულ და ინგლისურენოვანი), მაგისტრატურის, დოქტორანტურის, მასწავლებლის მომზადების ერთწლიან და დამატებით (minor) საგანმანათლებლო პროგრამებზე დასკვნითი საგამოცდო პროცესის ცენტრალიზებული წესით ორგანიზებულად წარმართვის შესახებ

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საშემოდგომო სემესტრში, ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიან (ქართულ და ინგლისურენოვანი), მაგისტრატურის, დოქტორანტურის, მასწავლებლის მომზადების ერთწლიან და დამატებით (minor) საგანმანათლებლო პროგრამებზე დასკვნითი საგამოცდო პროცესის ცენტრალიზებული წესით, ორგანიზებულად წარმართვის მიზნით ვბრძანებ :

1. შეიქმნას საუნივერსიტეტო საგამოცდო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- **როლანდ კოპალიანი-** რექტორი (კომისიის თავმჯდომარე);
- **შალვა კირთაძე** – რექტორის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
- **თეა კორძაძე** – ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- **იმერი ბასილაძე** – სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
- **ოთარ შენგელია** - ინფორმაციული და ქსელური ტექნოლოგიების დანერგვისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- **ლუკა დვალიშვილი** – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
- **ნანა შონია** – ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
- **ნანა ჯულაყიძე** – ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
- **მამული ბუჭუხიშვილი** – პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი;

- **ირინე ფხაკაძე** – მედიცინის ფაკულტეტის დეკანი;
- **ომარ კიკვიძე** – საინჟინრო – ტექნიკური ფაკულტეტის დეკანი;
- **მაია გრძელიძე** - საინჟინრო - ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი;
- **მარიეტა თაბაგარი** – აგრარული ფაკულტეტის დეკანი;
- **ლალი ხარბედია** - საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის დეკანი;

2. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საშემოდგომო სემესტრში, ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიან (ქართულ და ინგლისურენოვანი), მაგისტრატურის, დოქტორანტურის და დამატებით (minor) საგანმანათლებლო პროგრამებზე **დასკვნითი** საგამოცდო პროცესი ჩატარდეს უნივერსიტეტში ცენტრალიზებული წესით, უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 18 მაისის № 01-04/32 ბრძანებით დამტკიცებული, სწავლების საფეხურების მიხედვით, 2022-2023 სასწავლო წლის განრიგით დადგენილ ვადებში.
3. მასწავლებლის მომზადების ერთწლიან საგანმანათლებლო პროგრამაზე **დასკვნითი** საგამოცდო პროცესი ჩატარდეს უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 5 ოქტომბრის № 01-04/94 ბრძანებით დამტკიცებული, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2022-2023 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესახებ. ბრძანების პროექტის წარმოდგენა დაევალოს პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანს ასოც. პროფ. მ. ბუჭუხიშვილს.
4. ფაკულტეტების დეკანატებმა მოახდინონ სტუდენტთა ინფორმირება **დასკვნითი** გამოცდების წარმართვის გრაფიკის შესახებ და უზრუნველყონ ჯგუფების დროული გამოცხადება საგამოცდო აუდიტორიებში წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით;
5. დაევალოთ ფაკულტეტების დეკანის მოადგილეებს და ხარისხის სამსახურის უფროსებს უზრუნველყონ ცალკეული სასწავლო კურსების მიხედვით, წინასწარ დადგენილი ელექტრონული ფორმით, შუალედური საგამოცდო დავალების შედგენისათვის საჭირო მასალების წარდგენა საგამოცდო სექტორში არაუგვიანეს შვიდი დღისა გამოცდის დაწყებამდე და აქტიურად ჩაერთონ საგამოცდო პროცესის მიმდინარეობაში.
6. დეპარტამენტების ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის მიერ საგამოცდო დავალების ფორმირებისათვის საჭირო მასალების წარმოდგენა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, ამ ბრძანებით დამტკიცებული ფორმის მიხედვით და **დასკვნითი** საგამოცდო საკითხების და ტესტების სილაბუსთან შესაბამისობის შემოწმება და დამტკიცება.

7. დეპარტამენტების ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ შესაბამისი საგნის პედაგოგის, ან მათი ნდობით აღჭურვილი დეპარტამენტის წარმომადგენლის ყოფნა **დასკვნითი** გამოცდის დაწყების დროს.
8. დამტკიცდეს საგამოცდო ბილეთის ფორმირებისათვის საჭირო მასალის წარმოდგენის თანდართული ფორმა, რომლის შედგენა უნდა მოხდეს Sylfaen შრიფტით, ზომა 12 (იხ. დანართი №1)
9. აკადემიურმა და ხელშეკრულებით მოწვეულმა პერსონალმა უზრუნველყოს **დასკვნითი** საგამოცდო საკითხების და ტესტების რამდენიმე ვარიანტის (არა ნაკლებ სამი ვარიანტისა) წარმოდგენა;
10. საგამოცდო პროცესის ორგანიზაციული (გამოცდების გრაფიკის შედგენა და ბრძანების მომზადება, მათ შორის იმ გამოცდების, რომელიც კომპიუტერთან ტარდება) და ტექნიკური მხარდაჭერა უზრუნველყონ აწსუ გამოცდების ორგანიზებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სექტორის ხელმძღვანელმა – ლალი ზივზივაძემ და იმავე სექტორის სპეციალისტმა – დავით ხუსკივაძემ.
11. გამოცდების საორგანიზაციო საქმიანობა წარიმართოს №1128 და №7224 აუდიტორიაში, რომლის სათანადოდ მოწყობა და საჭირო ტექნიკით აღჭურვა დაევალოს ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურს (პასუხისმგებელი პირი მ. საღინაძე).
12. დოქტორანტურის, მაგისტრატურის და დამატებით (minor) საგანმანათლებლო პროგრამებზე საშემოდგომო სემესტრის **დასკვნითი** გამოცდები ჩატარდეს წერით, საუნივერსიტეტო სივრცეში ფაკულტეტის დეკანების ორგანიზებითა და შესაბამისი შუალედური საგამოცდო ცხრილების განრიგის შედგენით;
13. მედიცინის ფაკულტეტის ქართულ და უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე საშემოდგომო სემესტრის **დასკვნითი** გამოცდები ჩატარდეს საუნივერსიტეტო სივრცეში ფაკულტეტის დეკანატისა და საგამოცდო ცენტრის (ლ.ზივზივაძე, დ. ხუსკივაძე) ორგანიზებით, უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 18 მაისის № 01-04/32 ბრძანებით დამტკიცებული, სწავლების საფეხურების მიხედვით, 2022-2023 სასწავლო წლის განრიგით დადგენილ ვადებში.
14. მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამებში ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის OSCE ჩატარება დაევალოს კლინიკური მედიცინის დეპარტამენტს, OSCE კომიტეტთან შეთანხმებით.
15. ფაკულტეტის ადმინისტრაციამ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად უზრუნველყოს **დასკვნითი** გამოცდების ორგანიზებულად ჩატარება, ამ ბრძანებით დადგენილი წესების დაცვით.

16. ფაკულტეტების დეკანებმა დააზუსტონ საგამოცდო ჯგუფების შემადგენლობა და მოამზადონ საგამოცდო პროცესში ჩართულობისათვის **დასკვნითი** გამოცდის ჩატარებამდე 3 დღით ადრე, რომლებშიც არ იქნება გამოცდაზე დაშვების უფლების არმქონე, არცერთი, სტუდენტი (წინაპირობა, სტატუსი და სხვა).
17. დაევალოს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს გამოცდის ჩატარების თარიღიდან 3 დღის ვადაში სტუდენტთა შეფასების შესახებ ინფორმაციის წარდგენა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატებში და ასახვა სასწავლო პროცესის მართვის სიტემაში (ელექტრონული დეკანატი).
18. ენათა ცენტრის, ინგლისური ფილოლოგიის, გერმანული ფილოლოგიის, ფრანგული ფილოლოგიის, აღმოსავლური ფილოლოგიის, სლავური ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლებმა, საგნის სილაბუსით განსაზღვრული შეფასებით ჩაატარონ **დასკვნითი** გამოცდა საუნივერსიტეტო სივრცეში, **წერითი** ფორმით.
19. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საშემოდგომო სემესტრში, ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიან (ქართულ), მაგისტრატურის, დოქტორანტურის, და დამატებით (minor) საგანმანათლებლო პროგრამებზე დასკვნითი საგამოცდო პროცესის წარიმართოს 2023 წლის 16 იანვრიდან 29 იანვრამდე. ნაშრომების გასწორება დასრულდეს 4. 02. 2023 წლის ჩათვლით, სტუდენტთა სააპელაციო განცხადებების მიღება განხორციელდეს 2023 წლის 26 იანვრიდან 2023 წლის 7 თებერვლის ჩათვლით, ხოლო მათი განხილვა დასრულდეს 2023 წლის 11 თებერვლის ჩათვლით.
20. ფაკულტეტის დეკანებმა დასკვნითი გამოცდის ცხრილების შედგენისას გაითვალისწინონ, რომ minor პროგრამაზე გამოცდები დაინიშნოს 2023 წლის 24 და 26 იანვარს.
21. მედიცინის ფაკულტეტის უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე საშემოდგომო სემესტრის დასკვნითი გამოცდების ჩატარების განრიგის და ბრძანების პროექტის წარმოდგენა დაევალოს მედიცინის ფაკულტეტის დეკანს პროფ. ირინე ფხაკაძეს. , მედიცინის ფაკულტეტის სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით.
22. მაგისტრატურის და დოქტორანტურის პირველი სასწავლო წლის სტუდენტებთან საშემოდგომო სემესტრის **დასკვნითი** გამოცდები ჩატარდეს საუნივერსიტეტო სივრცეში ფაკულტეტის დეკანატის ორგანიზებით, უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 18 მაისის № 01-04/32 ბრძანებით დამტკიცებული, სწავლების საფეხურების მიხედვით, 2022-2023 სასწავლო წლის განრიგით დადგენილ ვადებში, 2023 წლის 30 იანვრიდან 16 თებერვლის ჩათვლით. ნაშრომების გასწორება დასრულდეს 2023 წლის 21 თებერვლის ჩათვლით, სტუდენტთა სააპელაციო განცხადებების მიღება განხორციელდეს 2023 წლის 20

თებერვლიდან 2022 წლის 23 თებერვლის ჩათვლით, ხოლო მათი განხილვა დასრულდეს 2023 წლის 27 თებერვლის ჩათვლით.

23. დავალიანებაში დარჩენილი ასათვისებელ საგნებზე დარეგისტრირებული სტუდენტებისთვის დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2023 წლის 27 თებერვლიდან 2023 წლის 6 მარტის ჩათვლით დღის მეორე ნახევარში.
24. საპატიო მიზეზით გადავადებული დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2023 წლის 7 მარტიდან 11 მარტის ჩათვლით, დღის მეორე ნახევარში.
25. უნივერსიტეტის კანცელარიის უფროსმა (ე. ცირეკიძემ) უზრუნველყოს ბრძანების დაგზავნა დეკანატებში, ენათა ცენტრში და შესაბამის სამსახურებში.
26. უნივერსიტეტის მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა (ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი) უზრუნველყონ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, მენიუში „სწავლა"(ქვემენიუ სასწავლო პროცესის მართვა).
27. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე უზრუნველყოს რექტორის მოადგილემ ასოც. პროფ. შალვა კირთაძემ.

საფუძველი: უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 18 მაისის № 01-04/32 ბრძანება სწავლების საფეხურების მიხედვით, 2022-2023 სასწავლო წლის განრიგი, უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 5 ოქტომბრის № 01-04/94 ბრძანება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2022-2023 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესახებ. ფაკულტეტის დეკანების სამსახურეობრივი ბარათები.

რექტორი: პროფ. როლანდ კოპალიანი

სასწავლო პროცესის მართვის
სამსახურის უფროსი: იმერი ბასილაძე

ფაკულტეტი	
დეპარტამენტი	
სპეციალობა	
სასწავლო წელი	
საგანი	
პედაგოგი	
გამოცდის სახე	
სემესტრი	

	შეკითხვის, დავალების, საკითხის ან ტესტის შინაარსი	ტესტის შემთხვევაში ჩაწერეთ წერტილით გამოყოფილი პასუხები	საჭირო სურათი ან ნახაზი (Inline თვისების მქონე)	პასუხისათვის საჭირო სტრიქონების რაოდენობა	1, 2, 3, . . .
1.					
2.					
3.					
4.					
5.					
6.					

შენიშვნა საკითხების ცხრილის ბოლო სვეტი ივსება შემდეგნაირად საკითხს მიეწერება 1,2,3, . . . რიცხვები. რაც ნიშნავს, რომ იქმნება შესწავლილი თემების პირობითი ჯგუფები. ბილეთის ფორმირებისას პედაგოგს შეუძლია შეარჩიოს ბილეთში შემავალი საკითხების რაოდენობა და გაანაწილოს იგი სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით. იხილეთ მესამე ცხრილის განმარტება.

1	2	3

1	1	1

შენიშვნა ცხრილის პირველი სტრიქონი ნიშნავს, რომ მაგალითად, საგამოცდო საკითხებში პირველი, მეორე, მესამე და ა.შ. ჯგუფის ან სირთულის დავალებებია. ცხრილის მეორე სტრიქონი ნიშნავს, რომ პირველი ჯგუფიდან (სირთულიდან) ბილეთში შევა 1, მეორე ჯგუფიდან 3 და მესამედან 3 საკითხი (დავალება, ტესტი) და ა. შ.

ფაკულტეტის დეკანი _____
დეპარტამენტის კოორდინატორი _____
საგნის პედაგოგი _____